ხაზარულა

ხეს რომ დაველაპარაკე პირველად 14 წლისა ვიყავი, თვითონ ბებერი იყო, 55-60 წლისა, თითქმის ჩემი ბებიის ხნის. ხე ვაშლისა გახლდათ და სახელად ხაზარულა ერქვა.

მახსოვს, ადრე მისი ნაყოფი ბებიას ზამთრობით თბილისში ჩამოჰქონდა, დილით რკინიგზის სადგურიდან მოსული, სოფლის სურნელად აყვავებული და დაღვრილი, გულში ჩამიკრავდა, მუშტისოდება ცივ, შეუხედავ, შემჭკნარ ვაშლს ლოგინში შემომიგორებდა და მეტყოდა:

- აგი, ნენა, შენი ეზოს ხაზარულაა, კია ალმასხანას დაფინოსავით დაპრანჭული, მაგრამ მაგის უკეთესს ვერაფერს მოიხილავ უზმოზე, ჭამე, შენ შემოგევლოს შენი ბებია...

მართლაც უგემრიელესი იყო ეზოს ხაზარულა.

ომის დროს სოფლის ხიზანი გავხდი და ის ჩემი ხაზარულა პირადად გავიცანი. მარანზე იდგა ალაგ-ალაგ ფუღუროიანი, სიხმელე შეპარული, მაგრამ მაინც ამაყი, მკლავგაშლილი, ლამაზი, ღონიერი და უზარმაზარ ჩრდილიანი. კოპეებით, ორშიმოებით, ორჩხუშებით, პატარ-პატრა დოქებით ჩამოხუნძლული, თუმცა, რად გინდა, თურმე აგერ, მესამე წელია, აღარ ყვავილობდა და ცხადია, აღარც ნაყოფს ისხამდა.

1942 წელს ადრე გაზაფხულზე, სისხამ დილით ბებიამ გამაღვიძა. ხელში სამართებელივით პირალესილი და ალაპლაპებული ნაჯახი ეჭირა.

- მღუპავ, ბებია?! - შევიცხადე განგებ და საბანი თავზე წავიხურე.

- ნუ ლაზღანდარობ, შე მამაძაღლო, ადექი და საქმეს მიხედე, სანამ ყურით ჩამომითრევიხარ მაგ ტახტიდან, - გამიჯავრდა ბებია.

- რა საქმე აგიტყდა, ქალო, ამ ალიონზე? - ვუსაყვედურე მე.

- კაცის ხელი თუ არ მოხვდა, მაგას ჩემი აღარ ეშინია, ქალი რომ ვარ, მთლად აბუჩად ამიგდო, - თქვა კოპებშეკრულმა.

- ჰიტლერზე ამბობ მაგას, ბებია, თუ ჩვენს ბრიგადირზე?

- ა კიდო, რა გითხარი მე შენ?!

- ვდგები, ბატონო, მაგრამ გამაგიბინე, ვიზეა ლაპარაკი? - ვთქვი მე და ჩაცმა დავიწყე.

- ვიზეა დახაზარულაზე, მაგ უგვანოზე, უსინდისოზე და უცხვირპიროზე, ამ შიმშილის დროს შეიძლება ასე ღალატი?! - მკითხა ბებიამ.

- ხეზე ამბობ მაგას? - ვკითხე განცვიფრებულმა.

- ხეზე.

- ვაშლზე? - არ დავუჯერე საკუთარ ყურებს.

- ვაშლი რომ ვაშლს აღარ გამოისხამს, ვაშლია იგი? - კითხვაზე კითხვით მიპასუხა ბებიამ, - შეშაა მაგი დღეის იქით, - თვითონვე გასცა პასუხი თავის კითხვას.

- მერე, მე რა უნდა ვქნა, მოვჭრა?

- ჯერ შეაშინო უნდა, მერე თუ არ შეშინდა, მოვჭრათ, აბა, რა იქნება. - ბებიამ მასწავლა, როგორ უნდა შემეშინებინა ხაზარულა, ნაჯახი სასთუმალთან ამიყუდა და კარისკენ წავიდა.

- შენ გგონია გამიგონებს? - გამეცინა მე.

- თუ ჭკუა აქვს, უნდა გაგიგონოს, - თქვა ბებიამ.

- შენ სადღა მიდიხარ? - ვკითხე.

- მაგ ლაპარაკს თქვენს გარდა არავინ არ უნდა დაესწროს, - თქვა ბებიამ და კარი გაიხურა.

ავდექი, ნაჯახი მხარზე გავიდე, მარანზე ავედი და დასკდომამდე კვირტებდაბერილ ხაზარულას მივადექი.

- ნეტა მართლა თუ ეყურება ხეს კაცის? - გავიფიქრე და გამეღიმა.

ნაჯახი მოვიმარჯვე და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვიქნიე, მერე ნაჯახი შუა გზაზე გავაჩერე, ხეს ძირზე ფრთხილად შევახე, ვითომ ჩავფიქრდი და „ყოფნა-არყოფნასავით“ დაეჭვებულმა ვთქვი:

- მოვჭრაااა, არ მოვჭრა?! მოვჭრااა, არ მოვჭრა?! მოვჭრااა, არ მოვჭრა?! - და ისევ ჩავფიქრდი, დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ხელი ჩავიქნიე და მარტო ხაზარულას კი არა, იქვე ჭურისთავზე დამხობილ ქვასაც რომ გაეგონა, ისე ხმამაღლა წარმოვთქვი.

- ჯანდაბას მაგის თავი, წელსაც ვაცდი და თუ ისევ არ გამოისხა, სად წამივა, გაისად სულ ძირში მოვჭრი! - მოკლედ ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც ბებიამ მასწავლა და ხაზარულას ავხედე. იგი იდგა უდრტვინველად, ყურსაც არ აპარტყუნებდა და მთელი სხეულით, ახლად ამობრდღვიალებულ მზედ ეფიცხებოდა.

ისევ გამეცინე, ოღონდ ახლა ბებიაზე კი არა, ჩემ თავზე. ნაჯახი იქვე ხაზარულას ძირში

გაგორებულ ჯირკზე დავასვე და ოდაში დავბრუნდი.

- რა ქენი? - მკითხა ბებიამ.

- რა ვქენი და შევაშინე, ვერ ხედავ, უბედური როგორ კანკალებს? - ვუპასუხე აგდებულად და ხაზარულასაკენ გავახედე. გავახედე და სიცილი წამსკდა, ხაზარულა მთელი სხეულით თრთოდა...

სოფელში ზენა ქარმა ჩაიქროლა.

●

გაზაფხულმა ტანი დაისრულა, გუბაზოულის ჭალიდან ჩვენს ეზოშიც ამობრძანდა, კახპა ქალივით ფეხშიშველმა და კაბადაკაპიწებულმა ახლად აბიბინებულ კოინდარზე გაიარ-გამოიარა და საქონლიან-ფრინველიან-მცენარიანად ყველაფერი გადარია. იფეთქა ყველაფერმა:

ნუში აყვავილდა, ტყემალი აყვავილდა, ატამი აყვავილდა, გულაბი აყვავილდა, ალუჩის ბუშიც კი აყვავილდა... ხაზარულა კი იდგა და ძილ-ღვიძილში მყოფი კაცივით მხოლოდ წამწამებს აფახულებდა, მეტი არაფერი, კაციშვილმა არ იცოდა, რას გვიპირებდა.

ერთ სისხამ დილით ისევ გამაღვიძა ბებიამ და ხაზარულასკენ გამახედა.

- გახედე, ნენა!

ღია ვარდისფერ პერანგში გამოწყობილი, ნაჯაფარი და სათნო ბერიკაცივით მკერდგაღეღილი, გაღიმებული ხაზარულა ამაყად იდგა მარანზე და ნიშნისმოგებით გვიქცეროდა.

- რა გითხარი მე შენ? - თქვა ბებიამ.

- ღმერთო, ნუ გადამრევ, - ვთქვი მე.

აყვავილდა ხაზარულა, მაგრამ რა აყვავილდა, დაისია ფუტკარი, მაგრამ რა დაისია, გამოისხა ხაზარულამ, მაგრამ რა გამოისხა, დამწიფდა, მაგრამ რა დამწიფდა, დახვავდა, მაგრამ რა დახვავდა, აგვავსო ჩვენც და მეზობლებიც ჩირით, არყით და მურაბით. ჩვენი კბილმოკვეთილი საქონელი რომ ვეღარ აუთავდა ხაზარულას ღეჭვას, თეოფანე დუგლაძის ძროხისთვის დავიწყე დავუწყე ყოველდღე კალთით ზიდვა.

- მოეშვი, ბიჭო, აწი ამ ძროხას, სანამ ვაშლის კამპოტს არ მეიწველება, არ დაანებებ თავს? - გამიჯავრდა ერთ დღეს თავგაბეზრებული თეოფანე.

- რა ჰქენი ეს, ხაზარულა, რავა გადარიე ქვეყანა? - ვკითხე ზამთრის პირას ხაზარულას, კენწეროში შერჩენილი, შაშვისა და ჩხართვის დაკორტნილი უკანასკნელი ვაშლი რომ ჩამოვაგდე ჭოკით.

- თუ ხე ხარ, ვაშლი გქვია და ისხამ, ასე უნდა გამოისხა, - მიპასუხა ხაზარულამ და ბებერი სახსრები შეაჭრიალა.

ის წელი იყო და ის წელი, ხაზარულას შემდეგ აღარ გამოუსხამს. რა არ ვაშინე, არ არ ვეხვეწე, რა არ ვემუდარე, მაგრამ მორჩა, გათავდა ხაზარულას ხაზარულობა.

ორი წლის თავზე ჭურიდან რომ ღვინოს ვიღებდით, ბაბიამ ცაში აიხედა, მერე ხაზარულას ახედა, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და ისე თქვა, თითქოს მე კი არა, ვიღაც უცხოს ელაპარაკებოდა:

- ამაღამ მოთოვს, შეშა არ გვაქვს, დავიხოცებით სიცივით, უნდა მოიჭრას ხაზარულა.

- წელსაც ვაცალოთ, ბებია და გაისად მოვჭრათ, ერთს კიდევ შევაშინებ, - ვთხოვე მე.

- გათავდა, ნენა, რავარც მე ვერ შემაშინებ აწი, ვერც მაგას, - სინანულით გაიქნია თავის ბებიამ.

- აბა, მე ვერ მოვჭრი მაგას, - ვიუარე სასტიკად.

- რას ჰქვია ვერ მოჭრი, ბებია ვარ მე შენი რომ გელაპარაკები, თუ ძაღლი?! - ეწყინა ბებიას.

- ბებია ხარ, მაგრამ მაინც ვერ მოვჭრი, - გავჯიუტდი მე.

- რატომ? - გაუკვირდა ბებიას.

- კაცო, შენ თვითონ არ მითხარი, რასაც მე და შენ ვლაპარაკობთ, ეყურება ხესო? - გავახსენე მე.

- არა, ნენა, რაღაცას დედაბერი ჩაიბჟუტურებს, იმას რას უყურებ შენ, ხეს კი არა, ადამიანს არ ეყურება ერთმანეთის. ხომ ხედავ, ფრონტზე ცოცხლად ჭამენ ერთმანეთს, მაშინ გეხუმრე, ბებია და მართალი გეგონა? - სცადა ბებიამ ჩემი გადაბირება.

- მაინც ვერ მოვჭრი, ეყურება კი არა, მე თუ მკითხავ, ხედავს კიდევაც მაგი, შეხედე როგორ აგვარიდა თვალი, - ვუთხარი ბებიას და ხაზარულას ავხედე.

- დიდუ, დიდუ, რა მესმის ეს, - შემიცხადა ბებიამ და ლოყა ჩამოიხოკა, - მაგრამ შენ რას გერჩი, ჩემი გადარეული ხარ და მე უნდა მოგიარო, მეზობლებო, მიშველეთ რამე, ჩამოდით და დამიბით ჯაჭვით იგი ადრე სასიკვდილე!.. - ახლა სოფელს შესტირა ბებიამ.

- რა იყო, კალანდაძის ქალო, რას ერჩი მაგ ბიჭს, ამ დილით ხატზე რომ გადაეცი?! - ჰკითხა ორღობეში შემთხვევით მიმავალმა ანანია სალუქვაძემ ბებიაჩემს და ეზოში შემოვიდა.

- რავა რას ვერჩი, ანანია ბატონო, აგერ ბერწი ხაზარულა შევაშინებინე შარშანწინ, ახლა მოჭერი-მეთქი, ვეხვეწები და არ შვება, გინდა თუ არა, ეყურებაო, - უთხრა ბებიამ და ანკარა ადესით სავსე ჭიქა მიაწოდა.

- დილა მშვიდობისა და ღმერთმა გაგიმარჯოს, ქალბატონო დარეჯან, შენი ნაგრამიანად, - დაილოცა ანანია სალუქვაძე და ისეთი სიამოვნებით დალია ღვინო, ნერწყვი გადავყლაპე, თითქოს თავმოხდილი ჭურის წინ არ ვმდგარიყავი.

- აყურებაო აბა? - იკითხა ანანიამ და წითლად შეფერადებულ ულვაშზე გადაისვა ხელი.

- ეყურება კი არა ჩემო ანანია, ხედავსო, ისიც კი იკადრა, - დამაბეზღა ბებიამ, - მაგრამ მაგას რას ვერჩი მე, გადავრიე და მე უნდა გავუყარო ახლა ბაწარში თავი.

- აგი ღვინო თუ აქვს დალეული ამ დილით? - იკითხა ანანია სალუქვაძემ.

- კი აქვს, ერთი-ორი ჭიქა! - თქვა იმედგაღვიძებულმა ბებიამ.

- მაშინ ერთი ჭიქა კიდევ ამივსე, ქალბატონო დარეჯან და მე გეტყვით, რომლის გადარეულია, შენი თუ ღვინის, - გაუღიმა ანანიამ.

ბებიამ ჭიქა გაუვსო, ანანიამ უსიტყვოდ დალია და ძალიან დიდი პაუზა გააკეთა.

- მე მგონი, ქალბატონო დარეჯან, ორივეს გადარეულია მაგი, შენიც და ღვინოსიც, მაგრამ უფრო დაბეჯითებით რომ გამოვიტანო დასკვნა, ერთი ჭიქა კიდევ დამისხი, - ბებიამ კი დაუსხა ღვინო ანანიას, მაგრამ მე რომ ანანიას ადგილზე მყოფილიყავი, თავს შევიკავებდი, ისეთი თვალით შეხედა. ანანიამ ეს ჭიქაც უხმოდ გამოსცალა, ამჯერად დიდხანს არ უფიქრია, პირდაპირ მოხსენებაზე გადავიდა:

- ნამდვილად ამას გადაურევია, ქალბატონო დარეჯან, მაგრამ მე მოყვან ახლა მაგას ჭკუაზე, შენ ამბობ რომ ხედავსო, აბა?.. - მკითხა ანანიამ.

- კი! - დავუდასტურე მე.

- ქვა?

- ქვაც!

- მდინარე?

- მდინარეც!

- აგაშენა ღმერთმა, ისე კია, ქალბატონო დარეჯან, საინტერესო, დავუშვათ, შენ ხარ ვაშლის ხე - ხაზარულა, ამ ბიჭის წაბჟუტურების მიხედვით, ქეც ხედავ და ქეც გეყურება, უცებ ხედავ, რომ მოდის ვიღაცა კაცი, ჩამნაირი მუტრუკი, მაგალითად, გაუდვია მხარზე ნაჯახი, მოდის და უნდა მოგჭრას, უნდა მოგჭრას, ხედავ ამას შენ და ვარ გარბიხარ ვერსად. არ გადაირევი, ქალბატონო დარეჯან? - ჰკითხა ანანიამ და ისევ გაუწოდა ჭიქა ბებიას, ბებიამ დააყოვნა ჭიქის შევსება, - დამისხი, შე ქალო, მთავარ სათქმელს აწი ვაპირებ მე, - უთხრა ანანიამ ბებიაჩემს. ბებიამ შეუვსო ჭიქა.

- ბიჭო, კი ხარ ქალაქელი, მაგრამ დროა აწი შეეგუო გლეხის ფილოსოფიას, სამ რამეს არ აყენებს გლეხი ოჯახში, ბერწ საქონელს, უნაყოფო ხეს და უშვილო... - ანანია შეყოყმანდა და ბებიას გახედა.

- რას მიყურებ ანანია, თქვი ბოლომდე, მე რას მერიდები, შვილი რომ არ მყოლოდა, აგი შვილიშვილი საიდან მეყოლებოდა, - გაეცინა ბებიას.

- მართალია, ...და უშვილო ქალს, მაგრამ ბებიაშენ დარეჯანს შვიდი შვილი ყავდა. ასეა მაგი.

- რა გინდა, ანანია ბიძია? - ვკითხე მე.

- რატომ არ ჭრი ხეს? - მკითხა ანანიამ თავის მხრიდან.

- მეცოდება.

- რა გეცოდება, ბიჭო, ხეი? შენხელა ბიჭები რუსეთში ტანკებს მიუძვრებიან ქვეშ.

- უბედური ჩვენი სახელმწიფო ამნაირი ღლაპების იმედით თუ აპირებს გერმანიის წაქცევას, - ახლა სახელმწიფო შეიცხადა ბებიამ.

- არ თქვა მაგი, ქალბატონო დარეჯან, - გაუჯავრდა ანანია.

- რავა არ ვთქვა, შე კაცო, ქათამს მაგას ვერ ვაკვლევინებ, თიკანს და ხეს ვერ ვაჭრევინებ, მეცოდებაო, მაგის შარშან საკალანდოდ დაკლული ღორი წელს ძლივს დავიჭირეთ ინტაბუეთში, ისე რომ ის დანა ისევ ყელში ჰქონდა გაკვეხებული... აგია საქმე? - ჰკითხა ბებიამ.

- მართალს ამბობს, ბიჭო? - მკითხა ანანიამ.

- მართალს ამბობს, ანანია ბიძია და ტყუილა ნუ მიკითხავ ნატაციებს, მაინც არ მოვჭრი ხაზარულას! - დავუდასტურე მე.

- ესე იგი, გეცოდება?

- აბა, არ მეცოდება? - ვკითხე ახლა მე.

- გეცოდება და ჯანდაბას შენი თავი, კიდო ერთი ჭიქა დამისხი, ქალბატონო დარეჯან და მაგი ხაზარულა ხვალ უთენია გაგორებული დაგხვდება, ჩემი ხელით მოვასორომგორომებ აქოურობას, ახლა მაგის თავი არ მაქვს.

ბებიამ ისევ გაუვსო ჭიქა. ანანიამ შესვა.

- ქალბატონო დარეჯან, დასაყოლებელი ხომ არ გაქვს რამე? - იკითხა სხვათა შორის ანანიამ.

- სარი მაქვს დასაყოლებელი, ბატონო ანანია, - უთხრა ბებიამ. ანანია უხმოდ გადავიდა ეზოდან და გზას ზევით აუყვა.

- ამ ზევით სად მიდიხარ, ბატონო ანანია, ქვევით არ მიდიოდი? - შეახსენა ბებიამ.

- ქვევით საქმე მქონდა, ქალბატონო დარეჯან, და მე რომ აწი საქმეს გავაკეთებ, ისე გეიხარა ჩვენი თავმჯდომარის ვენახმა! - ხელი ჩაიქნია ანანიამ.

- მაშინ მეცი პატივი, ანანია ბატონო და შაქროიეს ღობეს გაყევი, ჩემსას ისედაც ძლივს უდგას სული, - სთხოვა ბებიამ. ანანიამ სასწრაფოდ გადაინაცვლა ორღობის მეორე მხარეს და შაქროია მიქაბერიძის ღობეს ჩამოეკიდა. ერთი კი მოიხედა უკან.

- ბიჭო! - დამიძახა, - შენ ამბობ, ხედავსო ჩემი ხაზარულა?! ისე რა გითხარი მე შენ, შენი ხაზარულა კი არა, მე ვერ ვხედავ ვერაფერს... - ჩაიხითხითა ანანიამ და გზას გაუდგა ღობე-ღობე ბალცალ-ბანცალით.

•

მართალი გამოდგა ბიჭი. ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა გაყუჩულ და ფოთოლგაცვენილ ხეს. შუაღამემდე ფიქრობდა ხაზარულა, ნაშუაღამევს გული შეეკუმშა და ფესვები მოთოკა... - ფესვების ბადეში გახვეული ჭური ოდნავ შეტოკდა. იგრძნო ეს ხაზარულამ და ახლა უფრო მოთოკა ფესვები... ჭური რამდენიმე ადგილას აიტკეჩა, მაგრამ ისე, რომ შიგნიდან არ დაზიანებულა, მაშინ კიდევ ერთხელ მოზიდა ფესვების ბადე ხაზარულამ და პირველი ბზარი გაუჩნდა ჭურს, წითელმა სითხემ ზანტად გამოჟონა ქვევრიდან და ხაზარულას ფესვის ფოსოებს დაეღვარა, ფრთხილად მოსინჯა და შეისრუტა ხაზარულამ წითელი სითხე, უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში... ერთი შეკრთომა შეკრთა ხაზარულა, მაგრამ თადანთან ის ჟრუანტელი გაურკვეველ სიამოვნებად გადაექცა და ახლა უფრო გამეტებით ჩაიკრა ჭური გულში, ქვევრი რამდენიმე ადგილას გასკდა და წითელი სითხე თქრიალით გამოსკდა ხაზარულას ფესვებზე, როგორც მაცოცხლებელმა წვიმამ იცოდა ხოლმე გვალვიან ზაფხულს.

ახლა ხარბად დაეწაფა ხაზარულა წითელ სითხეს, ამ წითელ სასწაულს, რომელიც აგერ სამოცზე მეტი წელიწადია თურმე მისი ფესვების შუაგულშია განძივით დამარხული და მან კი არაფერი არ იცოდა, და ასე სასოებით ქოსვდა მის გარშემო მაცოცხლებელი ფესვების ბადეს... და ასე სასოებით დარაჯობდა. წითელი სითხე გაუთავებლად ჟონავდა გამსკდარი ქვევრიდან... ხაზარულა კი წურავდა, წურავდა ქვევრს, უსაშველოდ მწყურვალივით სვამდა და სვამდა გაუთავებლად ამ უცნაურ წითელ სითხეს, და ივსებოდა თანდათან სითბოთი, სიხარულით, ადრე განუცდელი საამო ჟრუანტელით, თავდავიწყებითა და გატაცებით... დათვრა ხაზარულა და უცებ განათდა მისთვის ქვეყნიერება.

ადრე, ახალგაზრდობაში ძალიან უკვირდა ხაზარულას, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, ფესვები რომ არ ჰქონდათ მასავით მიწაში გადგმული, ან როგორ მოძრაობდნენ მის გარშემო და საერთოდ, მაგრამ ბოლოს მიეჩვია ამ აზრს და ფიქრიც კი შეწყვიტა ამ მისთვის გაუგებარ და აუხსნელ საგანზე, რადგან ამაზე პასუხის გამცემი ხაზარულას ქვეყნად არც არაფერი და არც არავინ არ ეგულებოდა. მაგრამ დღეს მოხდა სასწაული. დაიცალა ქვევრი, უკანასკნელი წვეთი შეისრუტა ხაზარულამ და იგი უცებ მიხვდა ადამიანისა და საოცარი სითხის საიდუმლოს... ხაზარულას აღარ უკვირდა, რატომ კოცნიდნენ ადამიანები ერთმანეთს, რატომ ტიროდნენ ჯამებით ხელში, რატომ დასდევდნენ ერთმანეთს, რატომ ჩხუბობდნენ, რატომ იცონოდნენ, რატომ მღერდონენ ხელიხელგადახვეულები, რატომ როკავდნენ მის გარშემო, რატომ რეცხდნენ ასეთი გულმოდგინებით ჭურებს და რატომ ასხამდნენ ასეთი სასოებით შიგ ამ საოცარ სითხეს. მიხვდა ყველაფერ ამას ხაზარულა და თავადაც მოუნდა სიმღერა, სირბილი, ხვევნა, კოცნა, ტირილი და როკვა, მაგრამ რა ექნა ხაზარულას, ხე იყო ხაზარულა და არა ადამიანი, ამიტომ ის გააკეთა, რაც შეეძლო, დილამდე ტორტმანებდა და გუგუნებდა ხაზარულა... დილით კი, დილით გვერდში ყრუ დარტყმა იგრძნო, მაგრამ არ სტკენია და ყურადღება არ მიაქვია ხაზარულამ, შემდეგ მეორე გვერდში იგრძნო ისეთი ყრა დარტყმა ხაზარულამ და არც იმ დარტყმას მიაქცია ყურადღება, ერთ საათს მაინც გრძელდებოდა ეს დარტყმები, ბოლოს, მოწოლა იგრძნო ხაზარულამ მარცხნიდან მარჯვნივ, ძლიერი მოწოლა. მერე ჭრიალი, გაბმული ჭრიალი და ჯერ ზანტად გადაწვა, ხოლო შემდეგ მოსხლეტით დაეშვა დედამიწაზე, ახლა საკუთარი მკვლავებისა, მხრებისა და სახსრების ლაწანი გაიგონა ხაზარულამ, მაგრამ არც მაშინ უგრძვნია რამე ტკივილი, თვალები დახუჭა მხოლოდ და ტკბილად, ძალიან ტკბილად და ღრმად დაიძინა.

•

- ადექი, ნენა, წაუქვევია ხაზარულა ამ დილით ანანიას! - გამაღვიძა სისხამ დილით ბებიამ, - ა, შენ ნაჯახი და ტოტები მაინც დაასხიპე, - მითხრა და თავად სამზადში გავიდა. ბებიასთვის ალღოს არ უღალატნია, ღამით თოვლი მოსულიყო და სოფელი ისეთი ლამაზი იყო, საქორწილოდ გამზადებულ თეთრ ფატაში გამოწყობილ პატარძალს ჰგავდა. მარტო ჩვენი ეზო გამოიყურებოდა მგლოვიარედ, მარანზე მიცვალებულივით ახალმოჭრილი ტოტებდამსხვრეული და დალეწილი ვეებერთელა ხაზარულა ესვენა. უხალისოდ ავედი მარანზე. და ვიდრე ხის გაჩორკნას შევუდგებოდი, მის გადანაჭერზე ჩამოვჯექი, ჩამოვჯექი და გავშტრედი. ხის დედოძარღვიდან

წითელი სისხლისფერი სითხე მოჟონავდა.

- ბებია! - დავუძახე შემცბარმა.

- რა იყო? - გამომხედა ბებიამ.

- ამოდი ერთ წუთას.

- რა მოხდა.

- ამოდი და შენი თვალით ნახე.

ბებია ამოვიდა.

- რა არის ეს? - მკითხა გაკვირვებულმა.

- ალბათ, ხის სისხლი. - ვუპასუხე შემკრთალმა.

- შეუძლებელია, იანვარია ახლა და ძინავს ყველა მცენარეს, წყალი თებერვალში დგება ხეში, - თქვა ბებიამ და ხელი შეახო ხიდან გამოჟონილ წითელ სითხეს, სახესთან მიიტანა, დაყნოსა და მე შემხედა შეშინებულმა, - მოხადე ჭური! - მიბრძანა მან. მე სასწრაფოს მოვხადე ჭური, მე და ბებიამ ერთად ჩავიხედეთ შიგ, ჭური ცარიელი იყო...

- ჭურო ზეშთა აღმადგინებელთაო, დედაო დამბადებელისაო, სარკეო სიმართლისაო, წმინდაო მარიამ, მეოხ გვეყავნ ჩვენ და ნუ გადაგვრევ, - თქვა ბებიამ ხმის კანკალით, ცაში აღაპყრო ორთავე ხელი და ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე.

●

ხაზარულას სიცივისგან შეაჟრჟოლა და თვალი გაახილა, მისთვის უჩვეულო მდგომარეობაში მყოფს ქვეყნიერება წაქცეული მოეჩვენა და გაუკვირდა. ჯერ ყველაფერი იმ წითელ სითხეს დააბრალა, მერე მის გადანაჭერზე ჩამომჯდარი, ნაჯახის ტარზე ნიკაპდაყრდნობილი, მობუზული ბიჭი და თავღია ჭურთან სპეტაკ თოვლში მუხლებზე დამხობილი, ცაში ხელაპყრობილი შავოსანი დედაბერი რომ დაინახა, მიხვდა, ცოცხალი აღარ იყო და ისევ დახუჭა თვალები. დახუჭა სამუდამოდ.